ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Justice

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, სასამართლო ხელისუფლებამ პირველად შეიმუშავა სასამართლო სისტემის ხუთწლიანი სტრატეგია და ორწლიანი სამოქმედო გეგმა. ხელისუფლების სამივე შტოს და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, შესაძლებელი გახდა კონსენსუსზე დაფუძნებული გრძელვადიანი რეფორმის სტრატეგიის შექმნა, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების შედეგად სამომავლო რეფორმის მიმართულებების გამოკვეთა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად სათანადო ნაბიჯების დაგეგმვა. შესაბამისად, ამ დოკუმენტების დამტკიცება სასამართლო სისტემის რეფორმის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

სასამართლოს მიმართ არსებული დაბალი საზოგადოებრივი ნდობის და სისტემური კრიტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს სტრატეგიის შესრულების პროცესს რეალური ცვლილებების ნება და მზაობა ეჩვენებინა. თუმცა, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესზე დაკვირვებამ გამოკვეთა, რომ სასამართლო ხელისუფლებისთვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ არის პრიორიტეტული დოკუმენტი, მათი შესრულების პროცესი კი ფორმალურია და პრაქტიკულად, ყველა ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხი ამ დრომდე შეუსრულებელი რჩება.

- სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები პასუხისმგებელი უწყებების მიერ სათანადოდ არ სრულდება და ამ დოკუმენტებს სასამართლოსთვის მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს;
- სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესი და ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ფორმატი პრობლემურია, დახურულია და რეალურ მონაწილეობას არ ითვალისწინებს;
- მონიტორინგის პერიოდში შესწავლილი 100-მდე აქტივობიდან 53% შეუსრულებელია, 20% - ნაწილობრივ შესრულებული, ხოლო 26% - შესრულებული. ერთ აქტივობას შესაბამისი სტატუსი ვერ მიენიჭა;

100-მდე აქტივობის შესრულების მდგომარეობა



სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ჩრდილოვანი ანგარიში სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/kwhDeu. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმირების მიზნით, სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 47% შეუსრულებელია;



- მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნისა და დაწინაურების სისტემის სრულყოფის მიზნით სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 69% შეუსრულებელია;



- მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმირების მიზნით, სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 62% შეუსრულებელია;



- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის და ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფის მიზნით, სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 33% შეუსრულებელია;



სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ჩრდილოვანი ანგარიში სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/kwhDeu. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

- სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, სასამართლო სისტემის 2017–2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 43% შეუსრულებელია;

შესრულებული აქტივობების რაოდენობა

ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების რაოდენობა

შეუსრულებული აქტივობების რაოდენობა

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ?

- სასამართლო ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელობა და გამოავლინოს რეფორმირების რეალური ნება;
- მნიშვნელოვანია, შემდგომი წლების განახლებულმა სამოქმედო გეგმამ სრულფასოვნად მოიცვას: (1) აქტივობები, რომელიც ამ ეტაპზე შეუსრულებელია; (2) აქტივობები, რომლებიც ამ დროისთვის ნაწილობრივ შესრულებულია; (3) შესრულებული აქტივობები, რომელთა განხორციელება განგრძობად რეჟიმში უნდა გაგრძელდეს; (4) აქტივობები, რომლებიც გამომდინარეობს სასამართლო სისტემის ხუთწლიანი სტრატეგიის დებულებებიდან;
- უნდა შეიცვალოს, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, შექმნილი ფორმატი და აქტივობების დაგეგმვის, შესრულებისა და მონიტორინგის ეტაპები წარიმართოს ღია რეჟიმში, ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით.

სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ჩრდილოვანი ანგარიში სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/kwhDeu. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.